



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №42

2018 წლის 22 მარტი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული  
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის  
ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018  
წლის 15 თებერვლის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის №28 დადგენილებით ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 22/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.105.016416) დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალ „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ზუგდიდის შუალედური ზონისთვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და შეადგენს 18,9 ლარს; ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 მუხლით დადგენილი ფასი.“

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია